# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№50 (9.859)

22 - 29 დეკემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია!

## როგორ აისახება გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის შეცვლა დედოფლისწყაროზე?


გვ. 3

*ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „2019 წლის ბიუჯეტი მეტადაა სოციალურად ორიენტირებული წინა, 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით. გაფართოვდა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების არეალი, კერძოდ, 2019 წელს დაფინანსდება თითქმის ყველა სამედიცინო კვლევა, რომლის ღირებულებაც 200 ლარს აღემატება. მართალია, 2018 წლის ბიუჯეტიც ემსახურებოდა ადამიანების სოციალურ დაცვას, მაგრამ 2019 წელს ის უფრო ფართომასშტაბიანი ხდება.“*


გვ. 4

## შეწყდება თუ არა სწავლა ვირუსების გამო?

## ლამაზი, მაგრამ საშიში!


გვ. 3

## სასჯელი ბებიაზე ძალადობისთვის


გვ. 5

# როგორ შევხვდეთ 2019 წელს და როგორი წელი გველოდება


გვ. 8

*დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ღია კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:*

***1. პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში.***

***2. მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გზებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში.***

*განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე www.hr.gov.ge განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა 2018 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.*

## იქ, სადაც „ყველაფერი ყირამალა“ იყო...


გვ. 6

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2019 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 27 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

***იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!***

C M Y K

# მთავრობის ანგარიში — ხალხს!




საქართველოს მთავრობის მეთაურმა მამუკა ბახტაძემ საზოგადოებას მთავრობის 2018 წლის ანგარიში წარუდგინა.

„მსურს, დღეს თქვენთან ერთად ქართულ საზოგადოებას წარვუდგინო საქართველოს მთავრობის მუშაობის 2018 წლის ანგარიში. შევეცდები, კიდევ ერთხელ შევხედოთ, რისი მიღწევა შევძელით 2018 წელს და რა პრობლემები გვაქვს ქვეყნის წინაშე, რომელიც ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადავჭრათ. მე ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ საქართველოს წინაშე ორი ყველაზე მტკივნეული გამოწვევაა - ოკუპაცია და სიღარიბე. ეს არის სწორედ ჩვენი ეროვნული ამოცანა, რომ ორივე გამოწვევა ერთობლივი ძალისხმევით დავძლიოთ. სწორედ ამის გარშემო უნდა იყოს ჩემი აზრით გაერთიანებული საქართველოს თითოეული მოქალაქის ძალისხმევა. ყველას გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს სიღარიბის გარეშე, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება ღირსეული ცხოვრების უფლება.

ჩვენი მიზანია, საქართველო დაუბრუნდეს თავის დიდ ევროპულ ოჯახს, სადაც ადამიანის თავისუფლება და ადამიანის უფლებები, სასამართლოს და მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, კერძო საკუთრება წარმოადგენს მთავარ ღირებულებას; სადაც დღის წესრიგი განისაზღვრება დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების და ეკონომიკური განვითარების პარადიგმაზე დაყრდნობით. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მიღწევა ძალიან რთული ამოცანაა იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელიც გვაქვს დღეს ჩვენ საქართველოს წინაშე.

ჩვენ 2012 წლიდან რეალური ცვლილებები დავიწყეთ და ჩემი ყველა წინამორბედი მაქსიმუმს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ყველაზე რთული პრობლემა - სიღარიბე, რაც შეიძლება სწრაფი ტემპებით შეგვემცირებინა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს. ჩვენ შევძელით და დაახლოებით 10 პროცენტით შევამცირეთ სიღარიბე, მაგრამ, ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ცხოვრობს სიღარიბეში.

სამწუხაროდ, მთავარ ეკონომიკურ გამოწვევად ჯერ ისევ რჩება უმუშევრობა და ეს არის ძალიან რთული ბარიერი იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩვენთვის მთავარ ამოცანად რჩება სწორედ სიღარიბის დაძლევა. როდესაც ვსაუბრობთ ნებისმიერ ეკონომიკურ ინიციატივაზე, მთავარი შეფასების კრიტერიუმი გახლავთ სწორედ ის, რამდენად დაგვეხმარება ესა თუ ის ინიციატივა, რომ საქართველოში ერთხელ და საბოლოოდ დავძლიოთ სიღარიბე. ჩვენ ვახორციელებთ ძალიან მნიშვნელოვან რეფორმებს და დარწმუნებული ვარ, ამ რეფორმების შედეგად, საბოლოო ჯამში სიღარიბე იქნება დაძლეული, მაგრამ ამასაც გარკვეული პერიოდი სჭირდება. მთავარია, თითოეული ჩვენგანი იყოს დარწმუნებული, რომ საქართველოს მთავრობა ადგას სწორ გზას და ეს გზა საბოლოო მიზნამდე მიგვიყვანს. ვფიქრობ, ამის შეფასებისთვის აუცილებლად უნდა შევხედოთ იმ საერთაშორისო რეიტინგებს, რითაც ფასდება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და წარმატება. მინდა, რამდენიმე მათგანი ჩამოგითვალოთ - წელს საქართველო მსოფლიო ბანკმა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მე-6 ადგილზე დაასახელა და ეს ძალიან დიდი წარმატებაა. ამავე დროს, ჩვენ დავწინაურდით სხვა რეიტინგებში. მინდა, განსაკუთრებით გამოვყო „ფრეიზერის ინსტიტუტის" ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც ფაქტობრივად 360-გრადუსიან ანალიზს უკეთებს ამა თუ იმ მთავრობის საქმიანობას. აქ ჩვენ 162 ქვეყნიდან მეშვიდე ადგილზე ვართ. Heritage Foundation-ის ძალიან ცნობილი რეიტინგში - ჩვენ ვართ 16-ე ადგილზე 180 ქვეყნიდან. ღია ბიუჯეტის ინდექსში, რომელიც ზომავს ბიუჯეტის გამჭვირვალობას, თუ როგორ გამჭვირვალედ იხარჯება ბიუჯეტის სახსრები - ჩვენ ვართ მეხუთე ადგილზე. ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეიტინგში. თუ 2012 წელს 131-ე ადგილზე ვიყავით, წელს 45-ე პოზიციაზე ვართ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ყოველწლიურად აუმჯობესებს რეიტინგს მედიის თავისუფლების ინდექსში და თუ ჩვენ 104-ე ადგილზე ვიყავით 6 წლის წინ, დღეს 61-ზე ვართ. ამასთან ერთად, ჩვენი ეკონომიკის სტრატეგიის მთავარი ხედვა გახლავთ ის, რომ საქართველომ დაიბრუნოს თავისი ისტორიული როლი. ეს როლი ყოველთვის გახლდათ ის, რომ საქართველო იყო რეგიონის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. სწორედ ამისთვის გვჭირდება, რომ მაქსიმალურად წარმატებულები ვიყოთ საერთაშორისო რეიტინგებში. ჩვენი ამოცანაა, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ეს მიღწევები და ყველა რეიტინგში საქართველო იყოს ტოპ ხუთეულში. ამავე დროს, ჩვენი ძალიან ამბიციური, მაგრამ მიღწევადი ამოცანა გახლავთ ის, რომ 2023 წელს საქართველომ მიიღოს საინვესტიციო რეიტინგი, რომელიც არის მთავარი წინაპირობა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიცხვში შევიყვანოთ.

არც ერთ რეიტინგს, არც ერთ სტრატეგიას არანაირი აზრი არ აქვს, თუ ეს არ ემსახურება მთავარს - ჩვენს შემთხვევაში სიღარიბის დაძლევას და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენ ვართ მცირე ზომის ეკონომიკა, მაგრამ, ამავე დროს, გვაქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ შეიძლება, სწორედ მცირე ეკონომიკის შემთხვევაში მივაღწიოთ ამ ყველაფერს.

მთავრობის განახლებულ პროგრამაში, რომელიც ხუთ პრინციპს ეყრდნობა, სწორედ ეს გახლავთ პირველი პრინციპი, რომ ჩვენ შევძლოთ და ღირსეულად მივიყვანოთ ბოლომდე ჩვენი ერის ცივილიზაციური არჩევანი - საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, ჩვენ დავუბრუნდეთ ჩვენს ევროპულ ოჯახს, ვიყოთ ევროატლანტიკური სივრცის სრულფასოვანი წევრი და სრულფასოვანი მონაწილე. ამ თვალსაზრისითაც 2018 წელი იყო განსაკუთრებული და, ვფიქრობ, ძალიან წარმატებული.

აუცილებლად მინდა ვახსენო მართლაც ისტორიული რეფორმა - ჩვენ გადავედით ახალ კონსტიტუციაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო ჩამოყალიბდა ევროპულ საპარლამენტო დემოკრატიად. ვფიქრობ, სწორედ საპარლამენტო რესპუბლიკა გახლავთ საუკეთესო მოდელი იმისა, რომ საქართველო იყოს წარმატებული. ეს გახლავთ საკონსტიტუციო მოდელი იმისთვის, რომ ჩვენ გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ამავე დროს, უკვე 2018 წელს საქართველოს ჰყავს პირველი ქალი პრეზიდენტი. მსურს, კიდევ ერთხელ მივულოცო ქალბატონ სალომეს ეს ღირსეული გამარჯვება და დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის ინსტიტუტი კიდევ უფრო დაგვეხმარება ჩვენ ჩვენი მიზნების მიღწევაში.

სამწუხაროდ, ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ჯერ კიდევ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ის არ ახდენს თავისი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წელს იქნა მიღწეული და არ გაჰყავს თავისი საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიებიდან. ყოველდღე ვადევნებთ თვალს ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს და მავთულხლართების აგებას. ეს არის ძალიან მძიმე და მტკივნეული გამოწვევა. ჩვენ ყველა ტრიბუნას და ყველა პლატფორმას ვიყენებთ იმისთვის, რომ მსოფლიო საზოგადოებას მივაწვდინოთ ჩვენი გზავნილი და ჩვენი ხმა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოების კონსოლიდირება, რათა ეს ყველაზე მტკივნეული გამოწვევა ერთობლივი ძალებით დავძლიოთ. მე ამისთვის ვიყენებ ყველა ტრიბუნას ჩემს კოლეგებთან ერთად. იცით, რომ გაეროს ტრიბუნიდანაც პირდაპირი მოწოდება იყო ჩვენი მხრიდან, რომ რუსეთმა აუცილებლად უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, რომელსაც მან ჯერ კიდევ ათი წლის წინ მოაწერა ხელი.

ჩვენ ძალიან აქტიურები ვართ სამშვიდობო პოლიტიკაში. ჩვენი პასუხი ამ ყველაზე მტკივნეულ გამოწვევაზე არის მხოლოდ მშვიდობა და განვითარება. ჩვენ გვაქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, კონკრეტული ინიციატივა, რომელსაც ჰქვია „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" და რომელიც სრულად არის მხარდაჭერილი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ყველა ჩვენი მეგობარი ქვეყნის მიერ. ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებ.

2018 წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო ჩვენი საგარეო პოლიტიკისთვის. მინდა, დავიწყო 21 ნოემბერს ჩატარებული შეხვედრით, ფორმატით, რომელიც შეიქმნა სპეციალურად საქართველოსთვის, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობაში ყველაზე წარმატებული ქვეყნისთვის. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ევროკომისიის პრეზიდენტი თავის კოლეგებთან ერთად შეხვდა ჩვენს მთავრობას. ჩვენ გვქონდა ძალიან კონკრეტული დისკუსია იმის შესახებ, როგორ უნდა მოვახდინოთ საქართველოს კიდევ უფრო მეტად წარმატებული ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, ვისთვისაც სწორედ ასეთი ფორმატი შეიქმნა და მინდა, ამისთვის ჩვენს ევროპელ მეგობრებს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

განსაკუთრებით წარმატებული იყო 2018 წელი ნატოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. სამიტზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო ასრულებს ყველა კრიტერიუმს, აქვს ყველა მექანიზმი იმისთვის, რომ ქვეყანა ამ ნაწილშიც იყოს წარმატებული. ვფიქრობ, 2019 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება. საქართველო არასოდეს ყოფილა ასე ახლოს არც ევროპასთან და არც ნატოსთან. ეს არის ძალიან დიდი წარმატება და მინდა, ამ პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს დიდი მადლობა გადავუხადო.

ამავე დროს, ურთიერთობები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან - აშშ-თან არასოდეს ყოფილა ასეთი მაღალი და ყოვლისმომცველი. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა მაღალი დონის შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, გაგვეხსნა სრულიად ახალი შესაძლებლობები ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობისთვის.

რამდენიმე დღის წინ კონგრესში მომზადდა მართლაც ისტორიული დოკუმენტი, სადაც ასახულია ფაქტობრივად ყველა გამოწვევა, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და არის ძალიან კონკრეტული მხარდაჭერის გზავნილები. ძალიან სასიხარულო იყო ჩვენთვის, რომ მივიღეთ მხარდაჭერა იმ კონსულტაციებზე, რომელსაც ვაწარმოებთ თავისუფალი ვაჭრობის შემოღების თვალსაზრისით საქართველოსა და აშშ-ს შორის. ვფიქრობ, 2019 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება ამ თვალსაზრისითაც.

ამავე დროს, მინდა ხაზი გავუსვა იმ ძალიან მნიშვნელოვან ურთიერთობებს, რომელიც გერმანიასთან ჩამოყალიბდა და ახალ დონეზე ავიდა ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტის შემდეგ. გერმანია კიდევ უფრო მეტად აქტიურად ერთვება ჩვენს რეგიონულ პოლიტიკაში და გვაქვს კონკრეტული ეკონომიკური პროექტები, როგორ უნდა განვავითაროთ ეს ურთიერთობები.

წელს საქართველომ პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე იზეიმა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით მართლაც თითოეული ქართველი უნდა ამაყობდეს. მე ვიცი ყველა ევროპელი ექსპერტის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. 100 წლის წინ, სწორედ საქართველოს ჰქონდა ყველაზე პროგრესული კონსტიტუცია და ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩვენი ერის ცივილიზაციურ არჩევანს. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური არჩევანი, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი და ჩვენი ისტორია სწორედ ამას ადასტურებს.

სიღარიბე არის საქართველოს მტერი, ის ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავძლიოთ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოწვევის დაძლევის მიზნით მაქსიმალური ენერგია იყოს მობილიზებული.

თუ ჩვენ შევხედავთ ჩვენს ეკონომიკურ სტრუქტურას, ნათლად ჩანს, რაში გვაქვს ყველაზე დიდი ჩამორჩენა. სიღარიბის მთავარი წყარო გახდა ის ეკონომიკური მოდელი, რომლითაც ქვეყანა ცდილობდა, თავისი კონკურენტუნარიანობა განევითარებინა და ის არ აღმოჩნდა წარმატებული. რატომ?! იმიტომ, რომ მასში მრავლად იყო არასამართლიანი თამაშის წესები. ეს იყო ერთ-ერთი პირველი, რისი ცვლილებაც ჩვენ დავიწყეთ. დიახ, ჩვენ გვჭირდება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნება ისეთი ტიპის ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც შეეხება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ქართულ ოჯახს. სიღარიბის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ წყაროდ იქცა 2007 წელს მიღებული სრულიად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, რითაც დაიწყო ჭარბვალიანობის პრობლემა საქართველოში. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემა, რომელსაც ჩვენ შევეჩეხეთ. იმ წესებით, რომელიც ჩვენ სამომავლოდ დავნერგეთ, გამოირიცხა, რომ საქართველოს მოქალაქე ოდესმე ასე არასამართლიანად აღმოჩნდეს ე.წ. შავ სიაში. მაგრამ რა გვექნა წარსულისთვის? თითქმის 600 000-ზე მეტი ადამიანი იყო „შავ სიაში", რაც ნიშნავს, რომ ჩვენი სამუშაო ძალის თითქმის ერთი მესამედი აღმოჩნდა ნორმალური, ცივილიზებული სოციალური თუ ეკონომიკური ცხოვრების მიღმა. ეს არის სრულიად წარმოუდგენელი, ვერც ერთი ეკონომიკური რეფორმა ვერ გადაფარავდა ამ უდიდეს გამოწვევას და ძალიან დიდ მინუსს. ჩვენ მივიღეთ ძალიან პრინციპული გადაწყვეტილება და დავიწყეთ მართლაც უპრეცედენტო პროექტი. ეს არის ერთჯერადი სოლიდარობის აქტი, რომლის მიხედვითაც 2019 წლის პირველ იანვარს, ახალ წელს ჩვენი 600 000 მოქალაქე, 600 000 ოჯახი ვალისა და „შავი სიის" გარეშე შეხვდება.

მსურს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო ფონდ „ქართუს". რომ არა მათი მხარდაჭერა, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდებოდა ამ პროექტის რეალიზაცია. დღევანდელი დღისთვის თითქმის 580 000-ზე მეტი ადამიანი ამოღებულია ამ შავი სიიდან და, როგორც საზოგადოებას შევპირდით, 600 000 ქართული ოჯახი ახალ 2019 წელს ვალების გარეშე შეხვდება.

ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, გამოწვევები რჩება და ჩვენ განვაგრძობთ აქტიურ მუშაობას, რათა სხვა მსგავსი პრობლემებიც დროულად მოგვარდეს.

სიღარიბის დაძლევა საქართველოში გადის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისითაც ჩვენ გვქონდა ძალიან მძიმე მემკვიდრეობა. საგადასახადო დონე, ანუ გადასახადები დიდი კომპანიებისთვის იყო უფრო დაბალი, ვიდრე მცირე ბიზნესისთვის. ეს იყო ძალიან დიდი ბარიერი საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის. ძალიან დიდი ბარიერი და მე ვიტყოდი ჩვენი საგადასახადო სისტემის ქრონიკული თავის ტკივილი იყო დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნება და ჩვენ, შეიძლება ითქვას, მართლაც შეუძლებელი შევძელით. 1 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენ ჩვენი მეწარმეებისთვის ნახევარ მილიარდ ლარზე მეტის დაბრუნებას შევძლებდით. წელს, 31 დეკემბრამდე, ჩვენი მეწარმეები დაიბრუნებენ ნახევარი მილიარდი ლარის ოდენობის თანხას ჩვენი ბიუჯეტიდან. ეს მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა. 2018-2020 წლებში ჩვენ ვგეგმავთ, მილიარდ-ნახევარი დავაბრუნოთ ჩვენი მეწარმეების სასარგებლოდ. ზაფხულიდან ამოქმედდა სრულიად უნიკალური შეღავათები ჩვენი მცირე მეწარმეებისთვის, ე.წ. 1%-იანი გადასახადი. ჩვენ ხუთჯერ შევამცირეთ გადასახადები მცირე მეწარმეებისთვის, რაც იყო უპრეცედენტო რეფორმა. სულ რამდენიმე თვეში უკვე გვაქვს ძალიან კარგი შედეგები - ორჯერ არის გაზრდილი ჩვენი მეწარმეების ბრუნვა, მაგრამ ესეც არ არის საბოლოო დონე. დარწმუნებული ვარ, ამ რეფორმების შემდეგ მცირე მეწარმეების რაოდენობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება და მომდევნო წელს მინიმუმ გაორმაგდება.

ჩვენ გვაქვს სხვა ინოვაციური რეფორმებიც - მაქსიმალურად ვცდილობთ, შევამციროთ ბიუროკრატია. საქართველო იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც 2019 წლის პირველი იანვრიდან ერთიან საგადასახადო დოკუმენტზე გადავა. ჩვენ ვართ მოწადინებული ვართ, რომ გადასახადების დონე, განსაკუთრებით ჩვენი მცირე მეწარმეებისთვის კიდევ უფრო შემცირდეს. ბოლო კვლევების თანახმად, საქართველო, დაბალი გადასახადების თვალსაზრისით, მსოფლიოს ხუთეულში შედის.

ჩვენი ამოცანა და ეკონომიკური სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი გახლავთ ის, რომ სწორედ საქართველო უნდა იყოს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი და ამ მიზნის მისაღწევად მეტი ინოვაციური რეფორმა გვჭირდება.

ჩვენ უკვე დავიწყეთ და მომავალ წელს აუცილებლად განხორციელდება ე.წ. ელექტრონული საგადასახადო ი-რეზიდენსის რეფორმა, რომლის მიხედვითაც 36 ქვეყნის მოქალაქეები შეძლებენ საქართველოში საბანკო ანგარიშების გახსნას და კომპანიების გახსნას ისე, რომ საქართველოში არ ჩამოვლენ. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს უნიკალური რეფორმა, რომელიც ასევე მომავალი წლის დასაწყისიდან შევა ძალაში, რომლის მიხედვითაც ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში გახსნიან მთავარ ოფისებს, ინოვაციურ ცენტრებს, ლაბორატორიებს, ექნებათ უნიკალური საგადასახადო შეღავათები, რომ სწორედ საქართველოდან მოემსახურონ დანარჩენ რეგიონს.

ჩვენ გვქონდა ისეთი საგადასახადო და საბაჟო კოდექსი, რომელიც საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებულ გამოწვევებს ვერ პასუხობდა. ამიტომაც, საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, ღია პლატფორმაზე მოვამზადეთ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი და 2019 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს ექნება ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის სტანდარტებთან. ამასთან ერთად, ღია პლატფორმაზე, ჩვენს მეწარმეებთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ვამუშავებთ კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს - ეს არის საგადასახადო კოდექსი, რომელიც აუცილებლად შევა ძალაში 2020 წლის პირველი იანვრიდან.

ჩვენი მცირე ეკონომიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ საქართველოს ეკონომიკის კიდევ უფრო ეფექტური ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში და ამ თვალსაზრისით, საქართველო მართლაც გახლავთ ყველაზე წარმატებული ქვეყანა. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ჩვენს რეგიონში, ვისაც აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი როგორც ევროკავშირთან, ისე - ჩინეთთან. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ყველა მეზობელ ქვეყანასთან. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობები განვავითაროთ ევროკავშირთან. ამ თვალსაზრისითაც, 2018 წელი იყო განსაკუთრებით წარმატებული. მხოლოდ ევროკავშირში ექსპორტი მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში 11%-ით გაიზარდა.

დღეს, 20 დეკემბერს, პარიზში ხელი ეწერება უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ჩვენ ავიღებთ ვალდებულებას, რომ 2019 წელს მოვახდენთ ჩვენი კანონმდებლობის სრულ ადაპტირებას საერთაშორისო არბიტრაჟისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ თბილისი, პარიზის მერე იქნება მეორე ქალაქი ევროპაში, სადაც იფუნქციონირებს საერთაშორისო, ყველაზე უფრო მაღალი რეპუტაციის მქონე კომერციული არბიტრაჟი. ეს იქნება ძალიან დიდი წინაპირობა იმისთვის, რომ საქართველო ვაქციოთ რეგიონის ეკონომიკურ ცენტრად.

# მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია!

## როგორ აისახება გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის შეცვლა დედოფლისწყაროზე?



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი 20 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს მხარი საკრებულოს ცხრამეტმა წევრმა დაუჭირა.

ამ დღესვე, წარმომადგენლობითმა ორგანომ კენჭი უყარა ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2018 წლის პროგრამის, პროგრამის ბიუჯეტის და რეალიზაციის ვადის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 2018 წლის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის №55 დადგენილებაში შესატან ცვლილებას. აღნიშნული ცვლილების თანახმად, სამედიცინო დაფინანსებისათვის განსაზღვრული თანხა 16. 700 ლარით გაიზარდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2019 წლის პროგრამის, პროგრამის ბიუჯეტის და რეალიზაციის ვადის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 2019 წლის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის“ წესში„ ცვლილება გულისხმობს სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ძვირადღირებული კვლევების ან სხვა სამედიცინო მანიპულაციის( რომლის ღირებულება აჭარბებს 200 ლარს) დაფინანსებას ან თანადაფინანსებას.

20 დეკემბრის სხდომაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა მოიწონეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.

საკრებულომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს წინასწარი თანხმობა მისცა, ხელი მოაწეროს საგრანტო ხელშეკრულებას ევროპის კომისიის პროგრამის - „ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საქართველოში- 2018 -ის“ ფარგლებში განსახორციელებლად 300 000 ევროს ოდენობის გრანტის მიღების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გრანტი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ სამმა მუნიციპალიტეტმა – დედოფლისწყარომ, ზესტაფონმა და ფოთმა მოიპოვა. გრანტის საფუძველზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონში ბიოსფერულ რეზერვატს დააფუძნებს (პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებია ასევე ახმეტა, თელავი და გურჯაანი). პროგრამის ფარგლებში შემუშავდება იუნესკოში წარსადგენი სრული პაკეტი, ჩატარდება სასწავლო ტურები ევროპის ქვეყნებში და შეიქმნება ბიოსფერული რეზერვატის მართვის ორგანო. პროექტი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაინტერესებული ჯგუფების, ფერმერებისა და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას და სხვა.

**როგორია 2019 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი?**-შეფასება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს ვთხოვეთ: ***„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, ჩვენი რაიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინ გადადგმული ნაბიჯია. რატომ? პირველ რიგში გაიზარდა ადგილობრივი შემოსავლები, რაც ძალიან კარგია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 6 წლის მანძილზე ყოველწლიური ზრდა შეინიშნება ადგილობრივი შემოსავლების, კერძოდ, 2012 წელთან შედარებით მილიონიანი ზრდაა, რაც მისასალმებელი ტენდენციაა. შეიცვალა, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება მუნიციპალიტეტების დაფინანსების თვალსაზრისით: თუ აქამდე, ადგილობრივი შემოსავლები იზრდებოდა, გათანაბრებითი ტრანსფერი მცირდებოდა, ანუ, ჯამური შემოსავალი იგივე რჩებოდა და არ აისახებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე. 2019 წლიდან იცვლება ეს მიდგომა და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდისას გათანაბრებითი ტრანსფერი აღარ შემცირდება.*** ამ ცვლილებამ უკვე გამოიღო შედეგი და ტრანსფერის თანხამ შეადგინა 1 385 000 ლარი, მაშინ, როცა 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის თანხა 1 100 000 ლარი იყო. განმარტებისთვის გეტყვით, რომ თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკუთარი საბიუჯეტო შემოსულობაა გათანაბრებითი ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება. ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერი არის საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

2019 წლის ბიუჯეტი მეტადაა სოციალურად ორიენტირებული წინა, 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით. გაფართოვდა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების არეალი, კერძოდ, 2019 წელს დაფინანსდება თითქმის ყველა სამედიცინო კვლევა, რომლის ღირებულებაც 200 ლარს აღემატება. მართალია, 2018 წლის ბიუჯეტიც ემსახურებოდა ადამიანების სოციალურ დაცვას, მაგრამ 2019 წელს ის უფრო ფართომასშტაბიანი ხდება. დაფინანსება გაეზარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოს, რათა მის ბენეფიციარებს გაუმჯობესებული კვება და გარემო პირობები შეექმნას. ჩვენი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათად ქცეულ საბავშვო ბაღებს კვლავ გაეზარდათ დაფინანსება და მათმა ბიუჯეტმა 1 800 000 ლარს გადააჭარბა. სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა განაპირობებს ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას.

**დოფლისწყაროში კვლავ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა დიდი ნაწილის განხორციელებაც რეგიონული ფონდიდან გამოყოფილი თანხებით მოხდება**“- აცხადებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ინგა შიოლაშვილი

# ლამაზი, მაგრამ საშიში!




წინასაახალწლო დღეებში და ახალი წლის შემდეგაც, ჩვენ, სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით პიროტექნიკის არასწორად გამოყენებისგან გამოწვეულ საკმაოდ ცუდ შედეგებს. როგორიცაა, არასრულწლოვნებში მხედველობის სერიოზული დაზიანება ან/და მხედველობის დაკარგვა, სხეულის დამწვრობა, კიდურების დაკარგვა და ა.შ.

პიროტექნიკურ ნაკეთობებზე არასრულწლოვანთა თავისუფალი წვდომის საფრთხე არაერთხელ დადასტურდა სადღესასწაულო დღეებში პიროტექნიკური ნაკეთობების აფეთქების ან აალების შედეგად, არასრულწლოვნების მიერ მიღებული სხეულის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანების ფაქტებით. 2018 წლის იანვარში, თბილისში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში პიროტექნიკით გამოწვეული ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტიზირებული იყო 44 ადამიანი, მათ შორის 24 არასრულწლოვანი. 2017 წლის დასაწყისშიც პიროტექნიკის გამოყენების შედეგად 54 ადამიანი დაშავდა.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა დედოფლისწყაროში მომხდარი მსგავსი შემთხვევების სტატისტიკით და ამისათვის მივმართეთ შპს“ რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს სტაციონარის ER - მიმართულების ხელმძღვანელსა და ამავე დაწესებულების თერაპევტს, ქალბატონ იამზე ბაღაშვილს. ჩვენ ვისაუბრეთ ამ საკითხზე და როგორც მან გვითხრა, დედოფლისწყაროში ნამდვილად იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ ძალიან ცოტა. ქალბატონმა იამზემ ასევე დასძინა, რომ მოხარულია კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების გამო. ის ასევე იმედოვნებს, რომ მსგავსი შემთხვევების სტატისტიკა საგრძნობლად შემცირდება. ასევე მშობლებს ურჩევს, რომ ბავშვებმა პიროტექნიკა მათი მეთვალყურეობის ქვეშ გამოიყენონ.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა ინფორმაცია გამყიდველებისაგან, რომლებიც ჰყიდიან პიროტექნიკას. ამ შემთხვევაში სირთულეს გადავაწყდით. ზოგი მათგანი არ დაგვთანხმდა ინტერვიუზე, ზოგმა ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია. კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ყიდულობენ არასრულწლოვნები მათთან პიროტექნიკას, პასუხი იყო ერთი: „ჩვენ პიროტექნიკას არასრულწლოვნებზე არ ვყიდით!“, თუმცა, ეს ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერდა მათგან, ვინც ინტერვიუზე უარი გვითხა.

ასევე გვსურს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვთხოვოთ, თავი შეიკავონ ახალი წლის დღეებში ცხოველების სიახლოვეს პიროტექნიკის გამოყენებისგან. ხმაური და ფეიერვერკი ცხოველებზე ცუდ გავლენას ახდენს, მათში აგრესიას იწვევს, რის გამოც, შესაძლოა, ცხოველი ადამიანს დაესხას თავს. პიროტექნიკის ცხოველებზე ზემოქმედებამ, შესაძლოა, საფრთხე არამარტო ცხოველებს, არამედ ბავშვებისა და ადამიანების სიცოცხლეს შეუქმნას.

ცხოველების მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები გამოიძახეთ.

პარლამენტის ბიუროს, 10 დეკემბრის სხდომაზე „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები წარედგინა, რომლის მიხედვით, **პიროტექნიკის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა იკრძალება და ადმინისტრაციული წესით დასჯადი ხდება. მომზადებული პროექტის გათვალისწინებით, პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა გამოიწვევს ფიზიკური პირის 100 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 200 ლარით დაჯარიმებას. აღნიშნული ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა კი, გამოიწვევს ფიზიკური პირის - 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 400 ლარით დაჯარიმებას. კანონპროექტის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს და საქმეებს იხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.**

მოამზადა
ინესა ამბარიანმა



# შეწყდება თუ არა სწავლა ვირუსების გამო?

ზამთრის სეზონზე გავრცელებული დაავადებების გამო სულ უფრო და უფრო აქტიურდება კითხვები, რომლებიც აცრებს უკავშირდება. ბოლო დროს ხშირად გვწერენ იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ავიცრათ მენინგიტზე. ამ და სხვა მნიშვნელოვან **კითხვებზე გვპასუხობს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი** ხათუნა ზახაშვილი.

- მენინგიტი არის სინდრომი, რომელსაც იწვევს სხვადასხვა გამომწვევი. მაგალითად, პნევმოკოკის აცრა გვიდევს გეგმიურ ვაქცინაციაში. მოგეხსენებათ, პნევმოკოკი არის მენინგიტების გავრცელებული გამომწვევი. პირველ რიგში, როცა მენინგიტზე ვსაუბრობთ, უნდა გავარკვიოთ, მის რომელ სახეობას ვეხებით. კონკრეტულად მენინგიტზე აცრა, არ არსებობს. არსებობს რამდენიმე მიკრობის საწინააღმდეგო აცრა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მენინგიტი.



**- რას გვეტყვით წითელაზე, რა მდგომარეობა გვაქვს ამ ეტაპზე?**

- წითელას შემთხვევების ერთი მესამედი ისე მიმდინარეობს, რომ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას. გვყავს წითელას გამწვავებული და გართულებული ფორმით პაციენტები. მიუხედავად იმისა, რომ წითელას ვაქცინა გვაქვს ქვეყანაში და ის შეთავაზებულია ყველა ასაკობრივი კონტიგენტისთვის, აქტივობა და მომართვიანობა არადამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება, ჩუტყვავილას, მასზე აცრა არ არის გეგმიური ვაქცინაციის ნაწილი. სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ აიცრან.

**- გავრცელებული ვირუსების გამო, ხომ არ გეგმავთ მიმართოთ განათლების სამინისტროს დაითხოვონ მოსწავლეები და დაგეგმილზე უფრო ადრე შეწყდეს სწავლა?**



- ეს მდგომარეობას არაფრით არ შეამსუბუქებს ავადობის მხრივ, იმიტომ, რომ ახლა არის რესპირაციული ვირუსების გავრცელების აქტიური პერიოდი და რამდენიმე სახის ვირუსი ცირკულირებს, მათ შორის არის გრიპის ვირუსიც და სამწუხაროდ, სკოლებისა და ბაღების ადრე დათხოვნა არ არის გამოსავალი ავადობის შესამცირებლად. ამიტომაც ამ რეკომენდაციის საჭიროება არ არის. შემიძლია, რჩევის სახით ვთქვა, რომ სკოლებსა თუ ბაღებში ოთახები ხშირად განიავდეს და ადმინისტრაციამ ავადმყოფი ბავშვები არ დაუშვას. დანარჩენი ეს არის განათლების სამინისტროს კომპეტენცია, თუ ისინი თვლიან, რომ სასწავლო პროცესი სრულყოფილად ვერ მიმდინარეობს, მაშინ თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.

# თითოეული ახალგაზრდის წინსვლა ქვეყნის წარმატებაა

***დედოფლისწყარო იმ რაიონების ჩამონათვალშია, სადაც საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამა „ფლექსით" არაერთმა დედოფლისწყაროელმა მოსწავლემ წარმატებით ისარგებლა, ეს კი მათ ცხოვრებაში დიდი ბიძგი აღმოჩნდა. „ფლექსი" მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამაა, რომელიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ ამერიკის კულტურას და ხალხს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მეშვეობით, ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკელ მასპინძელ ოჯახთან ერთად ერთი აკადემიური წლის მანძილზე. ყველანაირი ხარჯი სრულად ფინანსდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. პროგრამის უპირველესი მიზანია, ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის გააღრმავოს ურთიერთგაგება, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, დააკვირდნენ და გამოცდილებაზე დაყრდნობით შეისწავლონ აშშ-ს მთავრობის სისტემა, ამერიკული ცხოვრების სტილი, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და სხვა.***

დედოფლისწყაროს №1 სკოლის ყოფილი მოსწავლე ლევან ჩუთლაშვილი ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც სხვადასხვა გაცვლით პროგრამებს ალღო კარგად აუღო და უკვე რამდენიმე ქვეყანა მოიარა. თუმცა, სხვა ახალგაზრდებისგან განსხვავებით, ლევანი პირდაპირ ამბობს, რომ არცერთ ქვეყანაში დარჩენა არ სურს, გული მუდამ სამშობლოსკენ მოუწევს და სურს იქ მიღებული გამოცდილება საკუთარ ქვეყანაში გამოიყენოს. მისი ეს მიდგომა დასაფასებელია, რადგან, ხშირად, როცა ახალგაზრდა განვითარებულ ქვეყნებში ცივილიზაციას ნახავს და ადგილზე ფეხს მოიკიდებს, უკან დაბრუნებაზე აღარ ფიქრობს, რაც საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს აზიანებს... უდაოდ მისასალმებელია, როცა ახალგაზრდა პირად კეთილდღეობაზე წინ სახელმწიფოებრივ მიდგომას აყენებს და ეროვნულ ინტერესებს იცავს.

რას იძლევა დასავლური და ევროპული განათლება ქართველი ახალგაზრდებისთვის, რატომ გაემგზავრა ამჯერად პოლონეთში და რა გეგმები აქვს ლევან ჩუთლაშვილს, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:

— „აშშ-ში „ფლექსით" 2013 წელს ვიყავი წასული ერთი წლით, როგორც ჩანს, ეს წარმატებული სტარტი აღმოჩნდა და შემდეგ უკვე სხვა გაცვლითი პროგრამით, „ერაზმუსით" იტალიაში ვიყავი. ამჟამად კი პოლონეთში ვიმყოფები, მაგისტრატურის გავლა აქ ვარჩიე. ეს გაცვლითი პროგრამა აღარაა, აქ პირდაპირ უნივერსიტეტში ჩავაბარე, მაგრამ ისევ სტიპენდიით ვსწავლობ... ისე, გულწრფელად გითხრათ, „ფლექსზე" პირველად შემთხვევით მოვხვდი... მახსოვს, სკოლაში კლასელებმა სულ უბრალოდ მითხრეს, გაკვეთილების შემდეგ თელავში წავიდეთო. გარკვეულიც არ გვქონდა სად, ან რისთვის მივდიოდით. როცა ჩავედით, გაირკვა, რომ შესაძლებელი იყო ამერიკაში წასვლა „ფლექსით" და ერთი წელი ამერიკულ სკოლაში სწავლა. ასეთი შანსი კი ცხოვრებაში ერთხელ ჩნდება. ცხადია, ძალიან მომეწონა ეს შესაძლებლობა. სამწუხაროდ, პირველი ცდით ვერ გავედი, თუმცა მტკიცედ გადავწყვიტე, რომ შემდეგ წელს ისევ ვცდიდი და ძალებს არ დავზოგავდი. ასეც მოვიქეცი და შესარჩევი ტესტირებებისა და გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ, როგორც იქნა, ამერიკაში წავედი. ცხადია, იქაც წარმატებით დავასრულე წელი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ჩავაბარე გამოცდები და ილიას უნივერსიტეტში დავიწყე სწავლა. მეორე წლიდან ილიას უნივერსიტეტის ამერიკულ-ქართული „თავისუფალი მეცნიერებების" პროგრამა ავირჩიე, რამაც დიდი ცოდნა და გამოცდილება შემძინა. მესამე კურსზე ჩემი პროფესიით მონაწილეობა მივიღე კიდევ ერთ გაცვლით პროგრამაში „ერაზმუსი". იტალიაში უკვე ერთი სემესტრი, ანუ ნახევარი წელი ვისწავლე. ეს იყო რომის სიახლოვეს, ქალაქ ვიტერბოში, ტუშას უნივერსიტეტში. ცხადია, ამანაც გარკვეული ცოდნა და გამოცდილება მომცა... იტალიიდან თბილისში დაბრუნებისას წარმატებით დავამთავრე უნივერსიტეტი.

***— ვიცი, რომ თქვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, საქართველოში სხვა ახალგაზრდებსაც გაუზიაროთ მიღებული გამოცდილება...***

— „ფლექსის" პროგრამიდან ჩამოსვლის შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ვმუშაობდი ამერიკულ საბჭოებში, ფლექსელების ახალ თაობას ტრენინგებს ვუტარებდი და ვამზადებდი ამერიკისთვის. ვცდილობდი, პრაქტიკული გამოცდილება გამეზიარებინა და რჩევები მიმეცა მათთვის. ასევე, სხვადასხვა ბანაკებში ვმუშაობდი მენტორად... პროექტებს ვწერდი და ვახორციელებდი საქართველოს მასშტაბით, იმისთვის, რომ მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის ცნობიერება აგვემაღლებინა და გაგვეცნო, თუ რა შესაძლებლობები არსებობს და დაინტერესებულიყვნენ, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა. ეს ჩემთვის ერთგვარი „ვალის გადახდა იყო"... მიმაჩნია, რომ, როდესაც რაღაცას მიაღწევ, სხვებსაც უნდა გაუზიარო და უბიძგო, რომ შესაძლებლობების რეალიზება სხვებმაც მოახერხონ. შესაძლოა, მათ იგივე რამეში არა, მაგრამ მათი ინტერესების მიხედვით, მათთვის საინტერესო სფეროებში მიაღწიონ გარკვეულ წარმატებებს. შეძლებისდაგვარად, ამაში ყოველთვის ვეხმარები თუ რამ შემიძლია... ბოლოს და ბოლოს, მჯერა, რომ ერთად უფრო ძლიერები ვართ. თითოეული ახალგაზრდის წარმატება, ჯამში უკვე ქვეყნის წარმატებას ნიშნავს.

ახლახან, თბილისში „ექსპო ჯორჯიას" დარბაზში „ფლექსის" იუბილე აღინიშნა, ამერიკულმა საბჭოებმა შემარჩია, რომ პროგრამის 25 წლისთავისთვის ღონისძიებაზე სიტყვით გამოვსულიყავი და მესაუბრა ჩემს გამოცდილებაზე, „ფლექსის" როლზე და მის ეფექტებზე. ამ და სხვა სპიკერების გამოსვლის ვიდეოჩანაწერებს ამერიკული საბჭოები ახლა მთელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და აღმოსავლეთ ევროპაში ავრცელებენ, რომ პროგრამას პოპულარიზაცია გაუწიონ. დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ამასთან დაკავშირებით მონღოლეთიდანაც კი მწერდნენ, რჩევას მეკითხებოდნენ, თუ როგორ მოხვედრილიყვნენ „ფლექსზე" და ასე შემდეგ...

***— ამის შემდეგ იყო პოლონეთი, სადაც სექტემბერში გაემგზავრე და დღემდე იმყოფები... რატომ პოლონეთი?***

— პოლონეთში იმიტომ წამოვედი, რომ ბიზნესის კუთხითაც და გეოგრაფიულადაც ახლოსაა ჩვენთან და ძალიან შორს წასვლა აღარ მინდოდა... თანაც, ევროპის ამ ნაწილში აქამდე ნამყოფი არ ვიყავი და საინტერესო იყო ეს ქვეყანა. აქ ჩამოსვლა ასევე მეგობარმა მირჩია, რადგან ის აქ უკვე სწავლობდა და მეტი გამოცდილება ჰქონდა.

**— სულ მაინტერესებს მშობლების რეაქცია, როცა ამხელა მანძილზე, უცხო ქვეყნებში მიდის არასრულწლოვანი შვილი. ოჯახში რა გითხრეს?**

— ოჯახმა არ იცოდა, რომ ტესტირებებს გავდიოდი, გაუკვირდათ მსგავსი შესაძლებლობა თუ არსებობდა, მაგრამ როდესაც უკვე 2 ტური გადავლახე, გვერდში დამიდგნენ და ყველანაირად მამხნევებდნენ, იმაზე საუბარი, რომ არ გამიშვნებდნენ, არ ყოფილა, სჯეროდათ ჩემი. თუმცა, როდესაც იტალიაში წავედი და შემდეგ პოლონეთში დავაპირე, დედამ მითხრა, გეყოფა, როდემდე უნდა იარო, სულ მონატრებაში ხომ არ ვიქნებითო. ალბათ უჭირდა ყოველ შემდეგ ჯერზე ჩემი გაშვება. პოლონეთში მაგისტრატურაზე რომ მოვხვდი, თან სრული ანაზღაურებით და სტიპენდიით, მხოლოდ მაშინ შევატყობინე ოჯახს, როცა უკვე მივდიოდი.



სხვათაშორის, სულ რამოდენიმე წელია, „ფლექსი" პოლონეთშიც შემოვიდა და აქაც მიმიწვიეს კათოლიკური შობისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე, რომ ვისაუბრო ისევ „ფლექსის" გამოცდილებაზე. ალბათ ჩემს ვიდეოს აქაც თავისი ეფექტი ჰქონდა. გამიკვირდა, პოლონეთში საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ ამ პროგრამით აშშ-ში ვიმყოფებოდი და შემდეგ აქ ჩამოვედი. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტში მაგისტრატურის პოლონეთში გავლა იმიტომ ავირჩიე, რომ ეს უნივერსიტეტი ახალია და შედარებით კარგ სამაგისტრო პროგრამას გვთავაზობს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში და ახლა სწორედ ამით ვარ დაკავებული. ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი და შედეგი ის იქნება, რომ აქ მიღებული დიპლომი ევროპულია, მთელს ევროკავშირში აღიარებულია, რაც მეტ წონას და შესაძლებლობებს მაძლევს მომავალში. ჩემთვის სასურველი ქვეყანა საქართველოა, მაგრამ ასევე არ გამოვრიცხავ ევროპის ქვეყნებს. ზუსტად ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ მე ცხოვრება მაინც საქართველოში მინდა. თუმცა, მე იმედი მაქვს, რომ საქართველოში შევძლებ ამ კვალიფიკაციის გამოყენებას. ჩემი განცდა რომ გადმოგცეთ და გულწრფელი ვიყო, რამდენჯერაც წამოვედი სასწავლებლად, ყოველ ჯერზე შინ დაბრუნება მინდოდა და არა იქ დარჩენა... არ აქვს მნიშვნელობა ევროპაში იქნებოდა, თუ ამერიკაში, ყოველთვის გული მაინც სამშობლოსკენ მიწევს...




ილია მარტყოფლიშვილი

# სასჯელი ბებიაზე ძალადობისთვის

**ოჯახური ძალადობის მორიგი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. დაკავებულია ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოში ბებიას პენსიის ფულს სძალავდა, უარის მიღების შემდეგ კი ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მოხუცს სცემა. ზოგადად, წელს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე წერა ხშირად გვიწევს. რამდენჯერმე ვიუწყებოდით, როგორ მიესაჯა პატიმრობა მეუღლეზე მოძალადე მამაკაცებს.**

რთული სათქმელია, ოჯახის წევრის მხრიდან ფიზიკური ძალადობის შემთხვევებმა იმატა, თუ მიჩქმალული და ტაბუდადებული შემთხვევები წინა წლებისგან განსხვავებით ამჯერად საჯარო ხდება და მასში ძალოვანი უწყებები ერევიან... შესაძლოა, ასეც იყოს, რადგან წამყვანი მედიასაშუალებების მიერ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და პრობლემაზე ღიად საუბრის პროპაგანდა თითქმის ყოველდღიურად მიდის, ცნობილი სახეები ინტენსიურად მოუწოდებენ საზოგადოებას, არ შეეგუონ ძალადობას, არ დამალონ ასეთი შემთხვევები და ხმა აიმაღლონ. ასე აქტიურ საინფორმაციო კამპანიას შესაძლოა გამოეწვია ის, რომ ბევრმა ნავსი გატეხა, ძალადობის შემთხვევები სააშკარაოზე გამოიტანა და ოჯახის წევრს უჩივლა.

უცნობია, ამჯერად თავად მოხუცმა უჩივლა, თუ თვითმხილველებმა დარეკეს პატრულში, თუმცა, ადგილობრივები გაზეთ „შირაქთან" საუბრისას იხსენებენ, რომ არხილოსკალოს პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა 26 წლამდე ასაკის მოძალადე შვილიშვილი მაშინვე დააკავეს.

როგორც არხილოსკალოელებმა „შირაქს" უამბეს, მაგდანა ბებოს შვილი კესო ჯერ ზემო ქედში, შემდეგ კი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გათხოვდა, შესაბამისად, დაკავებული ამ სოფელში არ იზრდებოდა. არხილოსკალოში შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა და სამართალდამცველების სამიზნე გახდა.

„რამდენიმე თვის წინ მაგდანას ახალგაზრდა შვილი გარდაეცვალა, ზურაბი... დაკავებული ამ სოფელში თითქმის არ გამოჩენილა. ბევრი არც იცნობდა. ერთხელ ჩამოვიდა და მაშინაც ეს ამბავი დაატრიალა. ისე გაიზარდა, აქ არ ჩამოსულა. ნასვამი იყო და თურმე პენსიის ფულს სთხოვდა, რაზეც მაგდანა შეეწინააღმდეგა. ამის გამო უცემია. საწყალს თვალებიც სულ ჩალურჯებული ჰქონდა. არადა, ასე ამბობენ, თურმე ისევ ბებია ნანობს, რომ შვილიშვილი ციხეში მოხვდა. ქალს ქმარიც გარდაცვლილი ჰყავს. ამის გამო მისი მეორე ვაჟი ზემო ქედიდან ისევ არხილოსკალოში დაბრუნდა, რომ დედასთან იცხოვროს და ყურადღება მიაქციოს," – აცხადებენ არხილოსკალოში.

ცნობილია, რომ არასამთავრობო, თუ სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩარევით, ბოლო ხანს სახელმწიფო ოჯახური ძალადობის ფაქტებზე მკაცრ მიდგომას იჩენს და პოლიტიკას კიდევ უფრო ამკაცრებს. ამის მიზეზი საგანგაშო სტატისტიკური მონაცემებია. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის, სიღნაღის პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბებიის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული ლ.მ. დამნაშავედ ცნო. გამოძიების მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 12 აგვისტოს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ლ.მ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბებიას – მაგდანა კობაიძეს სახისა და სხეულის სხვადასხვა ადგილებში ხელებისა და ფეხების დარტყმით ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება მიაყენა, რამაც მისი ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია და მედიკოსების ჩარევა დასჭირდა.




შს დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონული სამმართველოს არხილოსკალოს ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ლ.მ. 2018 წლის 13 აგვისტოს არხილოსკალოში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $11^{1}$-120-ე მუხლით წარედგინა. ეს მუხლი გულისხმობს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებას, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია. ამის გამო მამაკაცს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. გასულ თვეში საქმის სასამართლო განხილვა დასრულდა. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ლ.მ. დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რომლის ათვლაც მისი დაკავების დღიდან დაიწყო.

ილია მარტყოფლიშვილი

# სიკვდილის გამოგონებიდან — მსოფლიოს პრესტიჟულ ჯილდომდე

***1888 წლის 13 აპრილს ცნობილმა შვედმა მეცნიერმა, დინამიტის გამომგონებელმა, ალფრედ ნობელმა დილის გაზეთში საკუთარი ნეკროლოგი ნახა სათაურით „სიკვდილის გამომგონებელი თავად მოკვდა!!!". ამ ფაქტმა ინჟინერზე, ქიმიკოსზე და მრეწველზე იმოქმედა და გადაწყვიტა ანდერძი შეეცვალა. ქონება დაუტოვა მისივე სახელობის ფონდს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დააწესებდა ფულად პრემიებს მეცნიერების, ლიტერატურისა და მშვიდობის დაცვის დარგში განსაკუთრებული ღვაწლისთვის. ყოველწლიურმა საერთაშორისო პრემიამ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და 1901 წლის პირველი დაჯილდოების დღიდან დღემდე უკვე რიგით 117-ე დაჯილდოება გამართა.***

პრემია ენიჭება რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად კანდიდატებს ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისაგან, რომელზეც გამოსახულია ნობელი, დიპლომისა და ფულადი თანხის ჩეკისაგან. თანხის ოდენობა განისაზღვრება ნობელის პრემიის ფონდის შემოსავლით (როგორც წესი, 30-70 ათასი დოლარი). ანდერძის შესაბამისად ნობელის პრემიის მინიჭების უფლება აქვს სტოკჰოლმის სამეფო მეცნიერებათა აკადემიას (ფიზიკისა და ქიმიის დარგში, მემორიალური პრემია ეკონომიკის დარგში – 1968), კაროლინის სამეფო სამედიცინო – ქირურგიის ინსტიტუტს სტოკჰოლმში (ფიზიოლოგიასა და მედიცინაში) და შვედეთის აკადემიას სტოკჰოლმში (ლიტერატურის დარგში), ნორვეგიაში ნობელის პრემიას მშვიდობის განმტკიცებისათვის ანიჭებს ნორვეგიის პარლამენტის მიერ დანიშნული ნობელის კომიტეტი. ნობელის პრემიას ანიჭებენ ცალკეულ პირებს და მხოლოდ ერთხელ (არსებობს გამონაკლისიც, მაგალითად მარი სკლოდოვსკა-კიურიმ ნობელის პრემია მიიღო ორჯერ – 1903 და 1911). ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი იმართება სტოკჰოლმსა და ოსლოში ყოველი წლის 10 დეკემბერს – ა. ნობელის გარდაცვალების დღეს, რომელიც ნობელის დღედაა გამოცხადებული. ნობელის პრემიის მინიჭება დაიწყო 1901 წელს. ნობელის პრემია მიენიჭა: ფიზიკისა და ქიმიის დარგში – ვ. რენტგენს (1901), მ. პლანკს (1918), ა. აინშტაინს (1921), ნ. ბორს (1922), ე. რეზერფორდს (1908), ლევ ლანდაუს (1962) და სხვებს. ფიზიოლიგიისა და მედიცინის დარგში – ი. პავლოვს (1904), რ. კოხს (1905) და სხვებს. ლიტერატურის დარგში – რ. თაგორს (1913), რ. როლანს (1915), თ. მანს (1929), მ. შოლოხოვს (1965) და სხვებს.

2018 წელს ნობელის პრემიის ტრადიციული დაჯილდოება საინტერესოსთან ერთად, ხმაურიანიც გამოდგა. შვედეთის აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიმდინარე წელს ლიტერატურის დარგში პრემია არ გაეცა. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ნობელის კომიტეტმა. ეს გადაწყვეტილება უკავშირდება სკანდალს, რომლის მთავარი „მოქმედი გმირი" სექსუალურ შევიწროვებაში ბრალდებული ფოტოგრაფი ჟან კლოდ არნო აღმოჩნდა. იგი შვედი პოეტის, 1992 წლიდან აკადემიაში არჩეული კატარინა ფროსტენსონის მეუღლეა და ხელმძღვანელობდა შვედეთის აკადემიის მიერ დაფინანსებულ კულტურულ პროექტს. ფოტოგრაფი სექსუალურ შევიწროვებაში 18-მა ქალმა გასული წლის ნოემბერში დაადანაშაულა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სექსუალური შევიწროვების ეპიზოდებიდან ნაწილი აკადემიის კუთვნილ შენობებშიც ხორციელდებოდა. ასევე აღნიშნავდნენ, რომ ლიტერატურის დარგში მომავალი ლაურეატების გვარებს ჟან კლოდ არნო უცხო პირებსაც უმხელდა. თავად არნო ბრალდებებს უარყოფს. ფოტოგრაფის სკანდალის შემდეგ, კატარინა ფროსტენსონი ორგანიზაციიდან გარიცხეს. შვედეთის აკადემია დატოვა ასევე მუდმივმა მდივანმა სანა დანიუსმა. ლიტერატურის დარგში პრემიის არ გაცემა არ აისახა სხვა დარგებში ლაურეატების დასახელებისა და პრიზების გაცემის პროცესზე.

ეკონომიკის დარგში პრემია გადაეცათ ამერიკელ ეკონომისტებს - მსოფლიო ბანკის ყოფილ მთავარ ეკონომისტს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორს, პოლ რომერის და იელის უნივერისტეტის პროფესორს, უილიამ ნორდჰაუსს. მათი ნაშრომები თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ეხება: როგორ მივაღწიოთ მდგრად და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას? მათ გააფართოვეს ეკონომიკური ანალიზის ფარგლები და შექმნეს მოდელები, რომლებიც ხსნის ეკონომიკის ურთიერთობას კლიმატთან, ახალ იდეებთან და ტექნოლოგიურ სიახლეებთან.

2018 წლის ნობელის პრემია ქიმიის დარგში სამმა მეცნიერმა მიიღო. მათი ნაშრომები ევოლუციის პრინციპების გამოყენებით ფერმენტებისა და ანტისხეულების ლაბორიტორიაში სინთეზს შეეხება. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარმა, ფრენსის არნოლდამ გენეტიკური მუტაციები გამოიწვია ფერმენტებში. ჯილდოს მეორე ნაწილი ჯორჯ სმითს და სერ გრეგორი უინთერს ერგოთ. მათი ნაშრომი ბაქტერიოფაგების მეშვეობით ანტისხეულების სინთეზს შეეხება. რაც შეეხება ფიზიკის დარგს, პრემია აქაც სამ მეცნიერს გადაეცა. ამერიკელმა ფიზიკოსმა, ართურ აშკინმა პრემია და ფულადი ჯილდოს ნახევარი, 9 მლნ შვედური კრონი (1 მლნ აშშ დოლარი), „ოპტიკური პინცეტის" გამოგონებისთვის მიიღო. ეს მეთოდი გულისხმობს ლაზერის სხივის ფოკუსირებით მიკროსკოპული ობიექტების უძრავად დაჭერას. კანადელ დონა სტრიქლენდს და ფრანგ ჯერარდ მოროს პრემია მაღალი ამპლიტუდის, ულტრამოკლე, ლაზერული იმპულსების წარმოქმნის მეთოდის აღმოჩენისთვის გადაეცათ. დონა სტრიქლენდი მესამე ქალია, რომელმაც ფიზიკის დარგში ნობელის პრემია მიიღო. "ჩვენ უნდა ვაღიაროთ ქალი ფიზიკოსები, რადგან ისინი არსებობენ და ჩემთვის დიდი პატივია ვიყო ერთ-ერთი მათგანი" - განაცხადა მან კონფერენციაზე ჯილდოს მიღების შემდეგ. 2018 წლის ნობელის პრემია ფიზიოლოგიის ან მედიცინის დარგში ჯეიმს ალისონს და ტასუკო ჰონჯოს „უარყოფითი იმუნური რეგულაციის მეშვეობით კიბოს თერაპიის აღმოჩენისთვის" გადაეცათ. ჯეიმს ალისონი ტეხასის უნივერსიტეტის იმუნოლოგიის განყოფილების თავჯდომარეა, მან თავისი კარიერა კიბოს იმუნოთერაპიის სტრატეგიების შემუშავებას მიუძღვნა.ტასუკო მონჯო კიოტოს უნივერსიტეტის იმუნოლოგიის და გენომური მედიცინის პროფესორია. "მათი შრომები წარმოადგენს გარდამტეხ მომენტს კიბოსთან ბრძოლაში"- დაწერა შვედეთის აკადემიამ სოციალურ ქსელ თწიტტერ-ზე.




განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მშვიდობის დარგში პრემიის მფლობელების გამოვლენამ. წელს ჯილდო გადაეცა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ექიმ-გინეკოლოგს, დენის მუკვეგეს და ერაყელ იეზიდ აქტივისტს, ნადია მურადს. ექიმ მუკვეგეს, რომელიც ნობელის პრემიაზე რამდენჯერმე იყო ნომინირებული, კონგოში რამდენიმე საავადმყოფო აქვს გახსნილი, სადაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს მკურნალობის კურსს უტარებენ. ნადია მურადი კი ადამიანთა უფლებებს ერაყის მასშტაბით იცავს. ის თავად იყო ძალადობის მსხვერპლი, როდესაც 2014 წელს ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ" გაიტაცა. იმავე წელს, 21 წლის ნადია მურადმა მოახერხა გაქცევა და გერმანიაში მოხვედრა. იქ, ის, ადამიანთა უფლებების განსაკუთრებული დამცველი და გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდა. მურადი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მსოფლიოს ამცნო იეზიდთა ტანჯვის, „ისლამური სახელმწიფოს" მხრიდან ქალების და გოგონების დამონების და „ტრეფიკინგის" შესახებ.

წელს ნობელის პრემიაზე ნომინირებული იყო 329 კანდიდატი, მათ შორის 112 საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაცია. 2018 წელს პრემიის ოდენობა 9 მილიონი შვედური კრონი იყო (1 მილიონი აშშ დოლარი). ნობელის პრემია მეცნიერების სფეროში მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# იქ, სადაც „ყველაფერი ყირამალა“ იყო...

№1 საჯარო სკოლის მე-3ბ კლასის დამრიგებელმა ქეთინო დავითაშვილმა მიგვიწვია 21 დეკემბერს კლასში პროექტ-გაკვეთილზე „ყველაფერი ყირამალა“.როგორც მან ღონისძიების დასაწყისშივე აღნიშნა, პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიწყეს. თემის შერჩევისას არჩევანი ცნობილი ინგლისელი მწერლის დონალდ ბისეტის წიგნზე „ყველაფერი ყირამალაზე“ გაკეთდა და შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა. ულამაზეს ფერებსა და ფორმებში გამოწყობილმა ბავშვებმა მართლაც საინტერესო წარმოდგენის მნახველნი გაგვხადეს. ხუთი მოთხრობის სცენარზე კლასის ხუთი სხვადასხვა ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული. ცნობილი ინგლისელი მწერლის ამ წიგნის მიხედვით ბევრი უცნაური ამბავი გავიგეთ ამ ღონისძიებაზე, მაგალითად, რა ხდება, როდესაც ვინმეს ისეთი მნიშვნელოვანი რამე ავიწყდება, როგორიც დაბადების დღეა, გავიგეთ, რას ნიშნავს სიტყვა „ილაპალზი“ და შევიტყვეთ, როგორ შეიძლება ერთ წამში ყველაფერი ყირამალა დადგეს... კატების დაჭერა თაგვებმა მოინდომონ, კატამ ძაღლი შეაშინოს, ბავშვმა მშობელს მოუაროს, მზემ ღამე გამოანათოს და ასე ყველაფერი უცნაურად და ყირამალა დადგეს... ყველაზე მთავარი მიზანი ამ პროექტისა ის იყო, როგორ შევაყვაროთ



კითხვა ბავშვებს უფრო მეტად. ამ პროცესში პედაგოგს მშობლები ჰყავდა აქტიურად ჩართული, რადგან ერთ-ერთი ნომრის მიხედვით გაიმართა მხიარული ვიქტორინა, სადაც მშობლებს მოთხრობის გმირები უნდა ამოეცნოთ. ბავშვისთვის ხომ მთავარი მოტივატორი მშობელია და პირველ მაგალითს ის ოჯახიდან იღებს, ხოლო მშობელი წიგნით ხელში უკვე მისთვის მისაბაძი მაგალითია. ქეთინო მასწავლებლის ღონისძიებებზე კრეატივი ყოველთვის სჭარბობს, ძალიან შთამბეჭდავი იყო სწორედ ეს დასკვნითი ნაწილი-შვილების და მშობლების ერთობლივი მონაწილეობა მთელი პროექტის ფარ-



გლებში და უკვე ღონისძიებაზე, ვიქტორინისას გამოვლინდა, რომელი ბავშვის მშობლები იყვნენ უფრო აქტიურად ჩართულნი პროცესში: „შევაყვაროთ კითხვა ჩვენს შვილებს“. ბოლოს, ბავშვებმა გაითვალისწინეს რა, „ყველაფერი ყირამალა“ რომ იყო ამ დღეს და მასწავლებლებს და მშობლებს ბავშვებისთვის სასარგებლო რჩევები შეახსენეს:“მოსწავლეებმა რომ უკეთ შევიყვაროთ წიგნები, შექმენით კლასის სემესტრული ბიბლიოთეკა, სთხოვეთ მოსწავლეებს, ბიბლიოთეკის შესავსებად სურვილისამებრ მოიტანონ საკუთარი წიგნები და მოახდინონ თითოეული წიგნის პრეზენტაცია მეგობრებთან ერთად. ჩამოყალიბდეს წიგნის მოყვარულთა კლუბი, რომელიც თვეში ერთხელ შეიკრიბება და შეხვედრისას მოხდება წაკითხულის განხილვა-გაანალიზება. მომზადდება სახალისო კითხვარები, დაიხატება სიუჟეტები და მოეწყობა გამოფენა. ხოლო მშობლებს ვთხოვთ, მოგვცენ საშუალება, თავად შევარჩიოთ წიგნები, ხშირად იკითხონ ჩვენთან ერთად, ერთად გავიხსენოთ შინაარსი, სახალისო თუ სევდიანი ეპიზოდები,დაგვისვით კითხვები, რა უფრო მეტად მოგვეწონა ამა თუ იმ ნაწარმოებში და არასოდეს დაგვაძალოთ კითხვა!ის სიამოვნებაა და არა ვალდებულება...“–ასეთი რჩევებით გაუმასპინძლდნენ მშობლებს და მასწავლებლებს ბავშვები, ამიტომაც, გაკვეთილ-პროექტის ეს ბოლო აკორდი ყველაზე ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო.

დასასრულს, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა ეთერ დავითაშვილმა, სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა და მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელმა მარინა ინასარიძემ მადლობა გადაუხადეს ქეთინო მასწავლებელს და მოსწავლეებს, ასეთი მრავალგზის საინტერესო, შემეცნებითი და მუსიკალურად ლამაზად შეფუთული ღონისძიებისთვის, ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს მშობლებს აქტიურობისა და გვერდში დგომისთვის.

პროექტ-გაკვეთილის ბოლოს ქეთინო მასწავლებელმა მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა.

ელზა ხარაშვილი

# სპექტაკლი — ბოშა ბავშვების ინტეგრაციისთვის

***ბოშები მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ დედოფლისწყარო ერთ-ერთი ის რაიონია, სადაც ეს ეთნოსი კომპაქტურადაა ჩასახლებული. ისინი, ძირითადად, სოფელ ჭოეთში ცხოვრობენ. სხვათაშორის, ბოშათა გაერთიანების ხელმძღვანელი ვენერა მარტყოფლიშვილიც სწორედ დედოფლისწყაროდანაა. მახსოვს, ჩემი ჟურნალისტური კარიერის საწყის ეტაპზე დედოფლისწყაროელი ბოშები პირადობის დამადასტურებელ მოწმობებსაც არ ფლობდნენ, რის გამოც ვერც სახელმწიფო დახმარებას იღებდნენ, რადგან არსად არ იყვნენ რეგისტრირებულნი. ბავშვობაშიც, ხშირად მინახავს, უბან-უბან საკვების სათხოვნელად მოსიარულე ე.წ. „ლენინოვკელი“ ბოშები, მაგრამ ბოლო წლებში ისინი ასე მოსიარულე აღარ მინახავს. როგორც ჩანს, მკითხაობასა და ამგვარ ჩვევებს გადაეჩვივნენ. ალბათ ეს იმის დამსახურებაა, რომ რამდენიმე წლის წინ ბოშების ინტეგრაციისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. მოხარული ვარ, რომ ამაში წვლილი ჩემმა მშობლიურმა სკოლამ შეიტანა. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა პირველი იყო, რომელმაც განათლების გარეშე დარჩენილ ბოშებს და მათ ბავშვებს კარი გაუღო და განათლების მიღების გარდა, საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალებაც მისცა. ბოშების დედოფლისწყაროში ყოველდღიურად ტრანსპორტირებისთვის მათ სპეციალური სასკოლო ავტობუსიც გამოეყოთ, რომელიც დღემდე მოქმედებს.***

ტრადიციულად, დედოფლისწყაროს №2 სკოლა მხოლოდ გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით არ შემოიფარგლა და ბოშა ბავშვების მეტი ინტეგრაციისა და განვითარების ხელშესაწყობად სხვა პროექტებიც განახორციელა, რომელიც განათლების სამინისტრომ დააფინანსა. ბოლო ხანს სკოლაში ხელგარჯილობისა და თეატრის კლუბები ფუნქციონირებდა. ხელგარჯილობის წრეზე სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთები დაამზადეს, რომელთა გამოფენაც ახლახან თბილისში, განათლების სამინისტროში მოეწყო. თეატრალების შრომის შედეგი კი 21 დეკემბერს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე აჩვენეს, რომელიც რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით ბოშათა ცხოვრებაზე დადგა.

ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი **(ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლის დირექტორი)** „ჩვენი სკოლისთვის ბოშების ინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია და საამისოდ ძალებს არ ვიშურებთ. ისინიც ძალიან აქტიურად და ენთუზიაზმით არიან ჩართულნი ამ აქტივობებში. ხშირად ნაადრევად უწევთ სკოლიდან გასვლა. ისინი, ასაკის მიუხედავად, სხვადასხვა კლასში არიან. მათთან ინდივიდუალური გეგმით უნდა ვიმუშაოთ, რომ შესაბამის კლასში გადავიყვანოთ და 9 კლასი დაამთავრონ. ამჟამად დიდებიც კი პირველ, მესამე და მეხუთე კლასებში დადიან...ეს სპექტაკლიც მათ სოციალიზაციას ბევრად დაეხმარება. სამთვიანი პროექტი იყო, რომელიც გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა და დასკვნით ეტაპზე ვაჩვენეთ სპექტაკლი. პროექტი სრულდება, თუმცა გაისად აუცილებლად ვგეგმავთ, როგორც კი გამოცხადდება პროექტების მიღება, ჩვენც წარვადგინოთ და იმედი გვაქვს, კიდევ მოვიპოვებთ დაფინანსებას. მზადების პერიოდში, კვირაში სამი გაკვეთილი იყო და მათი ტრანსპორტირება და კვებაც ფინანსდებოდა. ახალი პროექტის დაფინანსებამდე ეს წრეები ვეღარ იმუშავებს, მაგრამ ქალბატონმა ცარომ უკვე გამოთქვა მზაობა, რომ რამდენიმე ბოშა ბავშვი თეატრ „ბერიკონში“ მიიღოს და ისე გააგრძელონ მუშაობა“.

ცარო მარტიაშვილი ***(რეჟისორი):*** „პატარა ვიყავი, როცა პირველად ბოშებთან შეხება მომიწია და გულწრფელად გითხრათ, მას შემდეგ ბავშვობაში სულ მინდოდა ბოშა ვყოფილიყავი. ძალიან მომწონდა მათი ცხოვრების სტილი, ტრადიციები, ჩაცმულობა... მსოფლიოში არ დარჩენილა არცერთი დიდი კლასიკოსი მწერალი, რომელიც ბოშების ცხოვრებას არ შეხებოდა. ამიტომაც მთელი მსოფლიოსთვის ბოშები საკმაოდ ნაცნობი თემაა. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, მათთან მემუშავა და ამავე თემაზე სპექტაკლი დაგვედგა. ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი ისიც იყო, რომ ისინი დედოფლისწყაროში ცხოვრობენ, აქვე, ჩვენს გვერდით არიან და ჩვენ ერთი მზის შვილები ვართ. ენობრივი ბარიერი ბრწყინვალედ დაძლიეს, მაგრამ რომ არ დაგიმალოთ, თავიდან ორი-სამი რეპეტიციის შემდეგ დავაპირე, ჯგუფისთვის თავი დამენებებინა. ბავშვები რაღაცნაირად შებოჭილები იყვნენ და ვერ შემოდიოდნენ კონტაქტში, მაგრამ ახლა, მაყურებელმაც იხილა, რომ საოცრად ლაღები და ენერგიულები არიან. რა ვიცი, მე მგონია, რომ ჩვენ აღარ დავშორდებით ერთმანეთს. თეატრი ისეთი რამაა, რომ ძალიან აახლოვებს ადამიანებს“.

როგორც მაყურებელმა, მეც უნდა ვაღიარო, საოცარი ოსტატობით თამაშობდნენ როგორც ბოშა ბავშვები, ისე მათი ქართველი პარტნიორები. მიუხედავად იმისა, რომ პირველად იდგნენ სცენაზე, საოცარი ოსტატობა და არტისტიზმი ჩანდა. ბედნიერი ემოციები მათ ჩვენთან კომენტარშიც გაგვიზიარეს.

„ძალიან მოგვეწონა ამ სპექტაკლში მონაწილეობა და არაფერი არ გაგვჭირვებია, პირიქით. ტექსტიც ადვილად ავითვისეთ. ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ჩვენს მეგობრებთან, ქართველებთან ერთად გავაკეთეთ ეს ყველაფერი. დიდი მადლობა ცარო მასწავლებელს და ყველას, ძალიან გახარებულები ვართ,“ – აღნიშნა სპექტაკლის მონაწილემ **ვიშნია დოცენკომ.**

ეს პირველი სპექტაკლი არ იყო, რამდენიმე წლის წინ ბოშა ბავშვებმა თბილისში, თეატრალურ სარდაფშიც ითამაშეს. მეორე სკოლის ყოფილი დირექტორი ნანა ჭილიტაშვილი გაზეთ „შირაქთან“ იხსენებს, რომ პირველ ეტაპზე 14 ბოშა მიიღეს და ყველა მათგანი პირველ კლასში დასვეს.



„აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენი სკოლა პირველი იყო, რომელმაც ამ ეთნოსის მოსწავლეები მიიღო. 2008 წელს მივიღეთ ისინი, 6-15 წლამდე ასაკის სულ 14 ბოშა მოვიდა, რომელთაც ჰყავდათ ცალკე კლასის დამრიგებელი. სასკოლო ავტობუსით მოჰყავდა და უკან აბრუნებდა. სკოლაში გარდა განათლების სამინისტროს პროექტებისა, მუშაობდა უმცირესობათა საკითხთა ევროპული ცენტრი კავკასიის პროექტი ბოშური „თემის მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში“. პირველი თაობა იყო: კატია იონენკო, იანა დოცენკო, მიშა იონენკო, დიმა ჩერნიცოვი... ქობულეთის მეოთხე საჯარო სკოლას დავუმეგობრდით, იქაც ბევრი ბოშა სწავლობს. გვქონდა გაცვლითი პროგრამები. სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და გასაოცარი შედეგი დავდეთ. შეისწავლეს ქართული ენა, თანამედროვე საინფორმაციო კომუნიკაციური საშუალების ელემენტები. პროექტი მუშაობდა მშობლებთანაც. მაგალითად: ჰიგიენის საკითხებზე. ილიაუნის სარდაფში დავდგით სპექტაკლი „ვარსკვლავბიჭუნა“, ამ სპექტაკლმა პირველი ადგილი დაიკავა, სკოლა დასაჩუქრდა პორტატული კომპიუტერით და საკმაოდ ლამაზი პრიზი გადმოგვცეს. ეს იყო ძალიან წარმატებული სპექტაკლი ბოშა და ქართველი ბავშვების მონაწილეობით. დარბაზი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. ინტეგრაცია მოხდა მშობლებისაც. მშობლებისათვის მართვის მოწმობის სწავლების კურსები გვქონდა, ხოლო ქალებისთვის ჭრა-კერვის მანქანები ვიყიდეთ და კერვას ვასწავლიდით. ვასწავლეთ ლოგინის თეთრეულის, ტანსაცმლის კერვა. მატერიებით ფონდი გვამარაგებდა. ნამეტი პროდუქციის გაყიდვასაც ვგეგმავდით, რათა დავხმარებოდით მრავალშვილიან ბოშა მშობლებს. ერთხელ, პედაგოგები ბოშურ ტანსაცმელში გამოწყობილები ვსტუმრობდით ჭოეთს ქართველ მშობლებთან ერთად. ზოგადად, ბოშები ძალიან ადრეულ ასაკში ქორწინდებიან და ესაც უშლით ხელს სწავლაში. გოგონები ზრდიან პატარა და-ძმებს, რადგან დედები არიან თბილისში. მათ მშობლებს 5 დეკემბრის ქუჩაზე აქვთ ნაქირავები ბინები და თავს ვაჭრობით ირჩენენ. ვაჟები ამზადებდნენ შეშას და ჩართულები იყვნენ ჯართის ბიზნესში. მაშინ ხშირად მივდიოდი სოფელში. ფაქტია, რომ აქ აღარ მათხოვრობენ“...

ილია მარტყოფლიშვილი




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1959 WLIS DEKEMBERI

● `Q. WITELWYAROSI KURISKOS GORAZE KULTSAXLIS MSENEBLOBA DAIWYO, RAIONIS MSROMEL MOSAXLEOBASTAN ERTAD CVENC DID SIXARULS GAMOVTQVAMT IMAZE, ROM GVEQNEBA KULTURIS SAXLI. MAGRAM MIS IRGVLIV MACXOVREBLEBS IMIS GAMO, ROM AQ SAARMSENEBLO MASALEBI GASALES, EZOEBSI MISASVLELI SAMANQANO GZA CAIKETA DA TVIRTIS ZIDVA SAXLAMDE 200-300 METRIS MANZILIDAN GVIXDEBA. SAWIROA DABA WITELWYAROS SABWOS ARMASKOMMA DA ADGILOBRIVI MEURNEOBIS KOMBINATIS DIREQCIAM GAMONAXON SASUALEBA, ROM IQVE MCXOVREBLEBS GZA GAGVITAVISUFLDES, AN AXALI GZA GAKETDES,~ - GVWEREN MOQALAQEEBI.

● ZEMO MACXAANIS NORC MICURINELEBTAN WELS MOSAVLIANI WELI IYO. SKOLIS SASWAVLO-SACDELI NAKVETI, ROMELSAC 1 HA UKAVIA, SAUKETESODAA DAMUSAVEBULI. ZAFXULIS ARDADAGEBIS PERIODSIC KI AR AKLEBEN MOVLA-PATRONOBAS. COCXAL KUTXESI MOSENEBULIA KURDRLEBI DA MTREDEBI, ROMELTAC MOSWAVLEEBI PERIODULAD UVLIAN DA APUREBEN. SKOLIS DIREQCIAS GANZRAXULI AQVS MIREBULI WARXLIS, SIMINDIS, PAMIDORIS DA KOMBOSTOS GAYIDVIT MIREBULI




SEMOSAVLIDAN NIADAGIS DASAMUSAVEBELI WVRILI SASOFLO-SAMEURNEO IARAREBI, SAXELOSNO MOWYOBILOBEBI DA PIONERTA RAZMEBISTVIS ALBOMEBI IYIDOS. NORC MICURINELEBS GADAWYVETILI AQVT ZVIRFASI KULTUREBI GADARGON DA MOMAVALI WLIS GAZAFXULZE CAATARON NUSIS MYNOBA ATAMZE, MSXLISA PANTAZE. AMRIGAD, SACDEL NAKVETZE MOWAFEEBI BIOLOGIIS TEORIULI KURSIS SESWAVLASTAN ERTAD PRAQTIKUMEBZE ECNOBIAN MICURINISA DA PAVLOVIS MOZRVREBATA SAFUZVLEBS.

● AMASWIN, CVENS FURCLEBZE NATQVAMI IYO, ROM ORJONIKIZIS KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM RAIARRICXVASI WARADGINA YALBI CNOBA KOMBAINEBIS REMONTIS SESAXEB. GAZETSI MXILEBIS SEMDEG FAQTI ZOMEBIS MISAREBAD GADAEGZAVNA KOLMEURNEOBIS PARTBIUROS. BIUROS MDIVANI AMXANAGI KVANWILASVILI REDAQCIAS ATYOBINEBS, ROM GANIXILES FAQTI DA DAMNASAVES PARTIULI SASJELI DAADO. MIIRES ZOMEBI, MOMAVALI SEZONISTVIS KOMBAINEBIS REMONTI DACQARDES.

● WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS XIL-BOSTNEULIS MARAZIASI ARSEBUL UWESRIGOBAZE SEQTEMBERSIC VWERDIT. GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMXANAGI MANGOSVILI GVWERS, ROM SAQME TURME SASAMARTLOMDE YOFILA MISULI. MARAZIASI SEQMNILI USUFTAO MDGOMAREOBIS GAMO GAMYIDVELI N. JAVAXISVILI GAANTAVISUFLES, UXARISI PRODUQTEBI SECVLILIA UKETESIT. RAC SEEXEBA SENOBIS SEUFEREBLOBAS, XIL-BOSTNEULIS SAKOMISIO AXALI MARAZIIS MSENEBLOBIS SAKITXI DAYENEBULIA RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBIS WINASE. MANAMDE MARAZIA UKETES BINASI GADAINACVLEBS.

● ZEMO MACXAANIS AFTIAQI WINAT DAQIRAVEBUL KARG BINASI IYO MOTAVSEBULI, SEMDEG GAMONAXUL IQNA ZVELI MARANI. SEAKET-SEMOAKETES DA AFTIAQI IQ GADAITANES. MAS SEMDEG 15 WELMA GANVLO, MIMDINARE REMONTZE KI ARAVIS UFIQRIA IMIS MOLODINSI, ROM NAVARAUDEVIA AXALI AFTIAQIS ASENEBA. ARADA OTAXEBI SEMWVARTLULIA, KEDLEBI SESALESIA, AGURIS BOZEBS ZIREBI GAMONGREULI AQVS DA SAXLI AVARIULIA. SINESTIS GAMO WAMLEBI XSIRAD ZIANDEBAO, AMBOBS AFTIAQIS GAMGE Q. POPIASVILI.

● LEONID XOLIAKOVI ELDRIS MECXVAREOBIS SATRAQTORO PARKSI MUSAOBS, DAUKITXAVAD PARKIDAN GAMOITANA MASZE GAPIROVNEBULI TRAQTORI „ДТ“ DA ZED MIUBA XETYIT DATVIRTULI AVTOMANQANA DA LEKISWYALZE CAITANA. IQ LAZATIANAD WAIPURMARILA DA UKAN DABRUNEBISAS TRAQTORI GADAABRUNA, MANQANA KI DAAZIANA. SAQME ELDRIS MUSATA AMXANAGURMA SASAMARTLOM GAARCIA. GAMOMSVLELEBMA DAGMES QMEDEBA DA MOITXOVES ZARALIS ANAZRAUREBA. XOLIAKOVMA ARIARA DANASAULI DA PIROBA DADO, ROM PATIOSANI SROMIT GAMOISYIDIDA DANASAULS. MAN ZARALI MARTLAC AANAZRAURA, AMITOM SASAMARTLOM MAS GAMOUTANA SAJARO GAKICXVA, GAFRTXILEBA DA DATOVA SAMUSAO ADGILZE.

## 1979 WLIS DEKEMBERI

● ARADAMAKMAYOFILEBELIA MOSAXLEOBASI AXALI JURNAL-GAZETEBIS DATAREBIS MDGOMAREOBA. ZOGIERT ADGILAS, GANSAKUTREBIT MINDVRAD MOQMED KOLMEURNEOBEBSI DA SOFLEBSI ZOGJER KVIRA ISE GAVA, AXAL JURNAL-GAZETS ARAVIN MIITANS, TQVE MAMACXONEBULEBO, ZVELI GAZETI VIRAS RAD UNDA?... MAGRAM SXVAS RA DAVEMDUROT, ROCA ZOGIERT BIBLIOTEKASIC AGVIANEBEN AXALI PRESIS DROULAD MOTANAS.

● WLIURI ANGARISGEBA DA ARCEVNEBI CATARDA PARTIUL ORGANIZACIEBSI. AMASTAN DAKAVSIREBIT REIDI AWARMOA REDAQCIAM. GAMOVLINDA AURACXELI NAKLOVANEBANI. GANSAKUTREBIT RTULIA KAVSIRGABMULOBIS RAIONULI KVANZIS MUSAOBA. ARASWORAD GAICA PREMIEBI; 18 SAFOSTO GANYOFILEBA VER ASRULEBS GEGMEBS; VER AUTVISEBIAT KAPITALURI REMONTISTVIS GAMOYOFILI TANXEBI, ROMELIC AXLA 11 000-S SEADGENDA; SESUSTEBULIA KONTROLI DA MOMTXOVNELOBA; KADREBTAN MUSAOBA ZALIAN DABAL DONEZEA; MTLIANAD MOSLILIA SASEMSRULEBLO DISCIPLINA DA MUSAOBA TVITDINEBAZEA MISVEBULI; 6 SOFELI DA QALAQ WITELWYAROS MRAVALI BINA RADIOFIKACIIS GARESEA, YOVELDRE IZRDEBA DAZIANEBATA RAODENOBA DA MCIRDEBA RADIOWERTILEBIS RICXVI. IMIS NACVLAD, ROM SOFLEBSIC SEDIODES RADIO, BEVRGAN RADIOREPRODUQTORI ISEV DUMS, BEVRGAN JERAC AR SEUYVANIAT XAZI.

● WITELWYAROS KULTSAXLMA RUSTAVELIS QUCIS DRESASWAULI ARNISNA. ES SAZOGADOEBRIVI SEKREBA MIZNAD ISAXAVS DAMSWRET GAACNOS QUCIS WARSULI, AWMYO DA MOMAVALI, MISI AVKARGI. DRESASWAULI GULISXMOBS WARMATEBEBSA DA GAMARJVEBEBZE SAUBARS, MAGRAM NAKLIC UNDA ARINISNOS. SAZOGADOEBRIV SAQMESI AQTIUR MO-




პოლიკლინიკის უკან ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი შენდება. ახალი წლიდან ჩვენი ბავშვები საუკეთესო გარემოში აღიზრდებიან. სამუშაოები უკვე მთავრდება.

NAWILEEBS RUSTAVELIS QUCIS MACXOVREBLEBS -FASIANI SACUQREBI GADAECAT. NADIA GVELUKASVILI IMIS GAMO DAAJILDOVES, ROM IS TAVISI SURVILIT UVLIS BARS, ROMELIC XIDTAN MDEBAREOBS. DASASRULS GAIMARTA KONCERTIC. ITQVA, ROM UAXLOES TVEEBSI CATARDEBA STALINIS QUCIS DRESASWAULIC.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**

ილია მარტყოფლიშვილმა

## მან სან კანი 2018

2018 წლის 18 დეკემბერს დედოფლაწყაროს კულტურის სახლში ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა კონკურსის II შესარჩევი ზონალური ტური. მონაწილეობდნენ: არბოშიკის გუნდი „ყიზილბაშები“, სამრეკლოს გუნდი „ქიზიყელები“, ხორნაბუჯის გუნდი „შერეკილები“ და დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდი „ენდორფინები“. ფინალურ ტურში გადავიდნენ: 101 ქულით გუნდი „ენდორფინები“ და 96 ქულით გუნდი „ყიზილბაშები“.



## ვინ გახდება ცესკოს თავმჯდომარე?

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება 5 დღის ვადაში, სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდა მიიღოს.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით კენჭისყრა ფარულია. სამივე კანდიდატს ერთდროულად ეყრება კენჭი.

იმ შემთხვევაში კი, თუ 5 დღის ვადაში ცესკო თავმჯდომარის არჩევას ვერ შეძლებს, პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს და წარდგენილი სამი კანდიდატურიდან პარლამენტი ცესკოს თავმჯდომარეს 7 დღის ვადაში აირჩევს.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად მარიამ შელეგიას, თამარ ჟვანიას და ვლადიმერ ბოჟაძის კანდიდატურები წარადგინა

**გამოსათხოვარი**

## ქეთევან ცაკაშვილი–დათუკიშვილი

ამ ბარათის მეშვეობით მინდა, გამოვეთხოვო ჩემს უფროს მეგობარს და თანამშრომელს ქალბატონ ქეთევან ცაკაშვილს და გამოვხატო ჩემი გულწრფელი ემოცია მისი და ოჯახის მიმართ.

ადამიანის ცხოვრება დაბადებასა და სიკვდილს შორის მოქცეული დროითაა შემოსაზღვრული და იგი მის მიერ დანატოვარი კვალით ფასდება, რომელიც, რატომღაც, ძირითადად, სწორედ გარდაცვალების შემდეგ მოჩანს უფრო უკეთ. შენს შემთხვევაში კი ეს ჩანდა სიცოცხლეშიც და იქნება სიკვდილის შემდეგაც. ჩემი მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება ის წლები, როდესაც ერთად ვმუშაობდით რაიონის სანეპიდსადგურში. სულ რაღაც 20 წლის ვიყავ, თქვენს ორგანიზაციას რომ შემოვუერთდი. ყველამ თბილად მიმიღო. შენ კი გამორჩეული დამოკიდებულება გქონდა ყველასთან. სხვადასხვა თაობის ადამიანები ვმუშაობდით და ყველას ჭირი და ლხინი იცოდი, ყველას გვერდში ედექი, ყველასთან შეგეძლო საერთო ენის გამონახვა, ამიტომ ყველას უხაროდა შენთან ურთიერთობა, როგორც უფროსი ეპიდთანამშრომელი და შენი საქმის უნაკლო პროფესიონალი, პროფესიონალი, გვიზიარებდი გამოცდილებას იმ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმიანობაში, რაც გვევალებოდა ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომთ. მახსოვს შენი გამხნევება და გვერდში დგომა ჩემს მიმართ, როგორც ახალგაზრდა ექთნის მიმართ. სხვაც ბევრი რამ მახსოვს შენთან ერთად გატარებული დღეებიდან და ამიტომ მწყდება გული შენი ამქვეყნიდან წასვლის გამო, ლხინიც ლაზათიანი იცოდი და ჭირში მხარში დგომაც. შენ დააკლდი უამრავ ახლობელს, პირველ რიგში შენს ოჯახს, შენს შვილებს- ელთერის და გოგის, რომლებისთვისაც შეუდარებლად მზრუნველი დედა იყავ და ამიტომაც დაგიფასეს, პატარა ბავშვივით გივლიდნენ და გესათუთებოდნენ სიცოცხლის ბოლო წუთამდე. რა ასაკშიც გინდა იყოს ადამიანი, სიკვდილი მაინც საზარელია. მე ვიდექი შენს სამუდამო განსასვენებელთან და ვფიქრობდი ჩვენს დიდ კოლექტივზე. ძალიან ბედნიერები ვიყავით მაშინ, მაგრამ დრომ ბევრი რამ წაიღო, ჩვენს გვერდით ბევრი მათგანი აღარ არის – სანეპიდსადგურის უფროსები ჟორა სამხარაძე და პეტრე მამულაშვილი, ექიმი გიორგი ზურაშვილი, თანამშრომლები: ეთერ ქვრივიშვილი, დარიკო და სეზონა ცაკაშვილები, მერი ხანიაშვილი, მერი ბეგიაშვილი, დარიკო გიგოლაშვილი, მარო პეტრიაშვილი, მარგარიტა ბაიდოშვილი, ნუცა კორახაშვილი, ელიკო ჩიტიშვილი, საშიკო აფიციაური, ნათელა ჯორკოშვილი, თინა ყოჩიაშვილი, ახლა მათ რიცხვს შენც შეუერთდი. მიუხედავად შენი ასაკისა, მაინც ძალიან დამწყდა გული. ნათელში იყავით ყველა, უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი და განისვენეთ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. გეთხოვები, ჩემო საყვარელო ქეთო დეიდა, მშვიდად განისვენე შენს ძვირფას მეუღლესთან ოთარ დათუკიშვილთან ერთად, რადგან ღირსეული შთამომავლობა დატოვეთ, რომელთა გულში სამუდამოდ დარჩებით და თქვენი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა, არ ჩაქრება თქვენთვის დანთებული სანთელი-საკმეველი. მომენატრები.

ლამარა თეგაშვილი–ბაიაშვილი

შვილები: ეთერ, გოგი დათუკიშვილები; რძლები: იზა ჯანაშვილი, მეგი ბერიაშვილი; სიძე ნოდარ გოგილაშვილი; შვილიშვილები: შალვა გოგილაშვილი, ოთარ, ნიკა დათუკიშვილები, შვილთაშვილები: ანა, გიორგი იუწყებიან

ქეთევან ცაკაშვილ–დათუკიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 15 დეკემბერს, ქ. დედოფლისწყაროში.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ეგული ყოჩიაშვილი იუწყებიან თანაკლასელის

რობიზონ ლეკაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს სკოლის დირექტორს ეთერ ოთარაშვილს დედის

ნათელა ოთარაშვილის

გარდაცვალების გამო.



# როგორ შევხვდეთ 2019 წელს და როგორი წელი გველოდება

***აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ყველა წელს თავისი სიმბოლო გააჩნია რომლიმე ცხოველის ან მითიური პერსონაჟის სახით. ასეთი სიმბოლო სულ თორმეტია: ცხვარი, მაიმუნი, ვირთხა, მამალი, ღორი, გველი, ცხენი, ძაღლი, ვეფხვი, დრაკონი, ხარი, კურდღელი. ყოველ მათგანს თავისი მნიშვნელობა აქვს და ადამიანებზე ინდივიდუალურად მოქმედებს.***

2019 წლი გარეული ღორის წელია, რომლიც ბევრ სასიკეთო მოვლენას გვპირდება. ეს მისი მშვიდი და უშფოთველი ბუნებიდან გამომდინარე მოხდება. მოსალოდნელია ბევრი სასიკეთო ცვლილება. ხალხი ნანატრ სიმშვიდეს მოიპოვებს.

## როგორი იქნება 2019 წელი

2019 წლის სიმბოლო, გარეული ღორი (ტახი), სიმშვიდითა და მოთმინებით გამოირჩევა. ამ წელს ასტროლოგები ადამიანებს დასვენებასა და ახლობელ ადამიანებთან მეტი დროის გატარებას ურჩევენ.

ძალიან კარგი პერიოდია ხანგრძლივი მოგზაურობებისთვის. უხვად იქნება ღორის წელიწადში ქორწილები და სასიყვარულო თავგადასავლებიც. რაც შეეხება ჯანმრთელობას, აქ საქმე შედარებით რთულად არის. საქმე ისაა, რომ წლების განმავლობაში დაგროვილმა სტრესმა შესაძლოა, თავი იჩინოს. რისკის ზონაში უფრო მეტად უფროსი თაობა აღმოჩნდება.



## ღორის წელში დაბადებული ადამიანები

ამ წელს დაბადებული ადამიანები პრაგმატიზმითა და მაღალი ინტელექტით გამოირჩევიან. მათ ყველაზე რთული დავალებების შესრულებაც კი შეგიძლიათ დაავალოთ. დავალების შესრულების ხარისხზე შეგიძლიათ არ იდარდოთ, ის უნაკლო იქნება. ეს ადამიანები ძალიან პუნქტუალურები არიან და ვერ იტანენ უპასუხისმგებლობას. ღრები ძალიან მიამიტები არიან და ამის გამო ხშირად ხდებიან სხვა ადამიანების მხრიდან მანიპულაციის მსხვერპლნი. მათ მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებთ.

ამ წელს დაბადებული ადამიანები არასდროს ხლართავენ ინტრიგებს და არასდროს იტყუებიან. ისინი შესანიშნავი მეგობრები არიან. ღორები ოჯახში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ და ის ნახევრები არიან, რომლებიც მეორე ნახევარს არასდროს ღალატობენ და ტოვებენ. ძალიან მიზანსწრაფულები არიან და დასახული მიზნისკენ ყოველთვის დაუღალავად მიილტვიან, არ იშურებენ ძალასა და ენერგიას, ფულსაც კი.

## ვის გაუმართლებს 2019 წელს

ღორის წელი თითქმის ყველა ზოდიაქოს ნიშანს საინტერესო და მნიშვნელოვან ცვლილებას პირდება. ასტროლოგების თქმით, სასიამოვნო ცვლილებები მხოლოდ რამდენიმე ნიშანს ელოდება.

რაც შეეხება ღორებს, ისინი ამ წელს უფრო მაგრად უნდა იდგნენ, არ დათმონ პოზიციები. უნდა ერიდონ უაზრო და ზედმეტ ნაცნობობას.

2019 წლის მთავარ აუტსაიდერებად, ასტროლოგების თქმით, ვირთხები იქცევიან. ამ წელს მათ წარმატებებს არ უწინასწარმეტყველებენ, ძირითადად საქმიან სფეროში. შედარებით გაუმართლებთ პირად ცხოვრებაში.

**გველებსა** და **ხარებს** პროფესიული წინსვლა ელოდებათ. ძალიან გაუმართლებთ ფინანსური კუთხით.

**ვეფხვები** საკუთარ თავში ახალ თვისებებს აღმოაჩენენ. მათ ლიდერობის შანსი მიეცემათ.

**თხებს** სასიყვარულო, ხოლო დრაკონსა და ცხენს სასიამოვნო და საინტერესო თავგადასავლები ელოდებათ.

**მაიმუნებისა** და **მამლებისთვის** საკმაოდ მკაცრი წელი იქნება. მათ ელოდებათ როგორც დიდი სიყვარული და წარმატება, ისე ღალატი და გულისწყვეტა.

ეს წელი ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი იქნება **ძაღლის** წელში დაბადებულებისთვის. ბევრი სასიკეთო ცვლილება ელით, კარიერაშიც და პირად ცხოვრებაშიც.

**კატის** (კურდღლის) წელში დაბადებულებისთვის აქტიური წელია. მეტად თავდაჯერებულნი და აქტიურნი უნდა გახდნენ, როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში.

## როგორ შევხვდეთ 2019 წელს

როგორც ყოველთვის, ახალი წლის შეხვედრა ამ წელსაც უმჯობესია ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების გარემოცვაში. ფერთა გამა ძირითადად ყვითელ-ოქროსფერი უნდა იყოს, ასევე ყავისფერი.

რაც შეეხება სუფრას - თავს ნურაფერში შეიზღუდავთ. შეგიძლიათ მოამზადოთ ყველაფერი, ხორციანი კერძები და ბოსტნეულის სალათები, იქონიეთ უხვად ხილი.

## როგორ მოვრთოთ სახლი და მაგიდა

ღორი სიმყუდროვის სიმბოლოა. ამ სიმბოლოთი არა მარტო ნაძვის ხის დამშვენებას გირჩევთ, არამედ ინტერიერისაც.

სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ცოტა ფრინველის, ცოტა ღორის, ცოტა საქონლის ხორცი, რამდენიმე სალათი და თევზი აბსოლუტურად საკმარისი იქნება. კერძების და მაგიდის გასაფორმებლად გამოიყენეთ მწვანილი და ხილი.

ღორს ძალიან უყვარს სოკო, ასე რომ, ეცადეთ თქვენს სუფრას სოკოც ამშვენებდეს.

## რა ჩავიცვათ

საახალწლოდ მარტო სუფრის

და სახლის მორთვა როდია აქტუალური, იმაზეც უნდა დაფიქრდეთ, თავად როგორ მოიკაზმოთ. ამ წელს მთავარი ფერი, რაღა თქმა უნდა, ოქროსფერი იქნება. არ არის აუცულებელი, მაინცდამაინც, ყვითელი კაბის შეძენა, აქსესუარიც საკმარისი იქნება, მთავარია, ფერები შეუხამოთ სწორად.

დიზაინერების განცხადებით, 2019 წელს ასევე აქტუალური იქნება მწვანე, კენკრისფერი, ნაცრისფერი და, რაღა თქმა უნდა, თეთრი.

რაც შეეხება მაკიაჟსა და ვარცხნილობას, აქცენტის გაკეთებას თვალებსა და ტუჩებზე გირჩევთ. მოდაში იქნება რთული ვარცხნილობები, როგორც შეკრული, ისე გაშლილი თმა.

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ლანა გორაშვილს!



ჩვენო ძვირფასო, ჩვენო პირველო სიხარულო და სიყვარულო, გილოცავთ დაბადების ოქროს წლისთავს-20 დეკემბერს შენ 20 წლის გახდი. იყავ ბედნიერი და გახარებული შენს მშობლებთან ანა გურაშვილთან და შალვა გორაშვილთან, ძმებთან - მერაბიკოსა და ერეკლესთან, ყველა ახლობელსა და გულშემატკივართან ერთად. გვეამაყება, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ხარ. ვისურვებთ, შენსავით ლამაზი და ნიჭიერი მეორე ნახევარი გეპოვოს და გაგეხარებინოს ჩვენი გულები. ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ.

**გკოცნით, პაპა და ბებია** ციური და ნოდარი,
**ბიძები:** მიშიკო და მამუკა გურაშვილები ოჯახებით.

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ნანა აფციაურს!

ნანა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას. იყავი ბედნიერი მეუღლესთან – მერაბ ფიროსმანაშვილთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად. ხშირად ვიხსენებთ წარსულს, როცა ყველაფერი გვიხაროდა და დროს ლხინში ვატარებდით. ერთ მუშტად შეკრული ორგანიზაცია გვქონდა, გვიყვარდა და პატვს ვცემდით ერთმანეთს.

**სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი:** ივერი ჭუჭულაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, მერაბ როზიტაშვილი, გურამ ნათელაძე, ნანა ჭიჭინაძე, მაყვალა მამულაშვილი, თამრიკო პაპაჩაშვილი და სხვები.

### ტანია ბულულაშვილს, რეზო პოპიაშვილს!

გილოცავთ პირველი შვილიშვილის პატარა რეზიკოს დაბადებას. გაიზარდოს ჯანმრთელი, გონიერი და ღონიერი ვაჟკაცი. მის მშობლებს **გიორგი პოპიაშვილს** და **მარიამ ყოჩიაშვილს** ვუსურვებთ აკვანთა სიმრავლეს. თქვენც მრავალგზის პაპა-ბებიობა დაგკობებოდეთ. ოჯახის ერთიანობას და ბედნიერებას გისურვებთ.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრები.

## გაიღიმეთ

- მამიკო, აბა, გამოიცანი, რომელი მატარებელი დაიგვიანებს ყველაზე მეტად?
- რომელი, შვილო?
- რომელი და... რომლის ჩუქებასაც შენ ჯერ კიდევ შარშან შემპირდი!

* * *

31 დეკემბერს ბავშვი რეკავს:
- ალო, სასწრაფო დახმარებაა? მალე მოდით! მამაჩემი ჭკუიდან გადავიდა, წითელი ხალათი აცვია და იძახის, რომ თოვლის პაპაა!

* * *

- თოვლის პაპავ, გემუდარები, მაჩუქე კონტსრუქტორი „ლეგო“! - გაჰყვირის ბავშვი მთელი ხმით.
- ასე ნუ ჰყვირი, თოვლის პაპა ჩურჩულით ნათქვამსაც კი გაიგებს! - აწყნარება მას დედა.
- თოვლის პაპა კი გაიგებს, მაგრამ მამიკოა თავის ოთახში ჩაკეტილი და შეიძლება ვერ გაიგოს!

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 24.12 დღე | ორშაბათი 24.12 ღამე | სამშაბათი 25.12 დღე | სამშაბათი 25.12 ღამე | ოთხშაბათი 26.12 დღე | ოთხშაბათი 26.12 ღამე | ხუთშაბათი 27.12 დღე | ხუთშაბათი 27.12 ღამე | პარასკევი 28.12 დღე | პარასკევი 28.12 ღამე | შაბათი 29.12 დღე | შაბათი 29.12 ღამე | კვირა 30.12 დღე | კვირა 30.12 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 ° | 1 ° | 3 ° | 2 ° | 2 ° | 1 ° | -1 ° | -2 ° | -4 ° | -5 ° | -4 ° | -5 ° | -3 ° | -6 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.